პროფესიონალი

№89

PROFESIONALI

WWW.NEWDESIGN.GE

ნიუ დიზაინი

NEW DESIGN

თბილისი, ვაზისუბნის გზატკეცილი, ეკ. ბაღდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01 ; მობ:(591) 00 64 01
E-mail: giorgi2004@gmail.com

პროფესიონალი+





www.prof-news.com

მთავარredაქტორი:
ეთერ ფუცალიშვილი

სარედაქციო კოლეგია

[illegible]

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით, ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

E-mail:profesionali@mail.ru

25.07.19. - 25.08.19

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის ნარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

საპარლამენტო სიახლეები

მოვახდინეთ თვითმმართველობის კოდექსის კონსტიტუციასთან ჰარმონიზება

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი საკომიტეტო განხილვების რეჟიმში განაგრძობს საქმიანობას. კომიტეტის სხდომაზე კანონმდებლებმა რამდენიმე კანონპროექტის შესახებ იმსჯელეს. საქართველოს პარლამენტის წევრების ზაზა გაბუნიას და მერაბ ქვარაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (კონსტიტუციასთან ჰარმონიზაცია), მესამე მოსმენით განსახილველად კომიტეტის თავმჯდომარემ, პროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა ზაზა გაბუნიამ წარადგინა.

„ჩვენ ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მოვიყვანეთ კონსტიტუციასთან თანხმობაში. ეს არის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაციის კანონპროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ უცვლელი სახით, რადგან მეორე მოსმენის შემდეგ, რამე სახის რედაქციული შენიშვნები მასთან დაკავშირებით არ ყოფილა“-განაცხადა გაბუნიამ.

წარმოდგენილი კანონპროექტი მოიცავს იმ ტექნიკურ და შინაარსობრივ ცვლილებებს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების სფეროში გაითვალისწინა კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ და რომელიც უნდა აისახოს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის რედაქციასთან. კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს საქართველოს პარლამენტის წევრების: სულხან მახათაძის და გრიგოლ მიქელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მომხსენებლის, პროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, პარლამენტის წევრის სულხან მახათაძის განცხადებით, კანონპროექტში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია დარღვევასთან შეუსაბამოდ მაღალი დონის სანქციის არსებობით. ხოლო კანონპროექტის მიღება და საჯარიმო სანქციისგან გათავისუფლება დადებით ზეგავლენას იქონიებს იმ კეთილსინდისიერ პირებზე, რომლებმაც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო გადააცილეს სამშენებლო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მშენებლობის ვადებს, თუმცა მოცემული მომენტისათვის აღნიშნული ხარვეზები სრულად აქვთ აღმოფხვრილი.

აღნიშნული ცვლილების შედეგად, ის პირები რომლებიც შესაძლოა დაჯარიმდნენ განსახილველი კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლდებიან საჯარიმო სანქციისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანონის მიღების დროს მათ შესაბამისი ხარვეზი აღმოფხვრილი ექნებათ. კომიტეტმა პირველი მოსმენით განსახილველად იმსჯელა და მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების: მარიამ ჯაშის, გურამ მაჭარაშვილის, კარლო კოპალიანის სვეტლანა კუდბას, შოთა ხაბარელის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება“. კანონის ამ ნორმის საფუძველზე მუნიციპალიტეტების ორგანოებმა მიიღეს შესაბამისი ნორმატიული აქტები. მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ აღნიშნული ნორმატიული აქტების პრაქტიკაში დანერგვამ თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნების ტენდენციების შესაბამისად, ცნების „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება)“ გაფართოების აუცილებლობა გამოავლინა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლში ტერმინის „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება)“ - „არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიცია“ ტერმინით ჩანაცვლების მიზანშეწონილობა.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა ასევე განიხილა და პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ ინიციატივის წესით წარმოდგენილ კანონპროექტს „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონის პროექტის მიღების მიზეზია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოება და შესაბამისად, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და მართვის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი დარეგულირების საჭიროება.

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია ჯავახეთის ზეგანის ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი ეკოსისტემებისა და გლობალურად მოწყვლადი და ეროვნული მნიშვნელობის მქონე სახეობების, პოპულაციების დაცვის და მათი ჰაბიტატების დეგრადაციის აღკვეთის საჭიროებით. კანონპროექტით, „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ხორციელდება შემდეგი ცვლილება, კერძოდ, კანონის მე-3 და მე-9 მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით და დამატებით იქმნება სამი დაცული ტერიტორია: ფარავნის, საღამოს და აბულის ტბების აღკვეთილი.

კანონის პროექტის მიღების მიზანია აღნიშნული უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემის შესაბამისი დაცული ტერიტორიის სისტემის ფარგლებში მოქცევა, რათა შესაძლებელი იყოს მოკლევადიან პერიოდში, აღნიშნული ეკოსისტემის დაცვა, ხოლო გრძელვადიან პერიოდში - მისი გაუმჯობესება.

კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ სარატიფიკაციო დოკუმენტს

„ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნით შესახებ საგრანტო შეთანხმების (ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა)“ ცვლილება ნომერი ოთხი“ , რომელიც არსებული საგრანტო თანხის 29,152,000 აშშ დოლარით გაზრდას ითვალისწინებს.

პარლამენტის ბიურომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით კანონპროექტი დაარეგისტრირა

პარლამენტის ბიურომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი დაარეგისტრირა, რომელიც 2020 წელს პროპორციული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებს. როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება 2020 წელს პროპორციული არჩევნების ჩატარების შესახებ ნულოვანი ბარიერით არის სწორი და დემოკრატიული ნაბიჯი, რითაც ის საზოგადოების დაკვეთას ასრულებს. პარლამენტის თავმჯდომარემ, ასევე ხაზი გაუსვა ამ პროცესში ოპოზიციის ჩართულობის მნიშვნელობას.

„მივესალმებით ოპოზიციური პარტიების ჩართულობას ამ პროცესში და არა მხოლოდ მივესალმებით, არამედ საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა იქნება საჭირო, იმისათვის, რათა ეს გადაწყვეტილება მიიღოს პარლამენტმა, ვინაიდან ოპოზიციის ხმებიც სამი მეოთხედის ფარგლებში იქნება საჭირო, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციაში განხორციელდეს“- განაცხადა თალაკვაძემ.

მისი თქმით, პროპორციული არჩევნების ჩატარება 2020 წელს ოპოზიციის მოთხოვნაც იყო თუმცა, გადაწყვეტილება სახელისუფლო გუნდმა მიიღო.

„პროპორციულ არჩევნებზე გადაწყვეტილება მიიღო ჩვენმა სახელისუფლო გუნდმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. დღეს რაც იცვლება, ეს არის ვადები და რა თქმა უნდა, ცხოვრება აკორექტირებს ბევრ რამეს, ჩვენ საზოგადოების დაკვეთა და მოთხოვნა გვესმის, და მიგვაჩნია, რომ სწორ და დემოკრატიულ გადაწყვეტილებას ვიღებთ ამ საკითხთან დაკავშირებით“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

დოკუმენტი ხელმოწერების ნამდვილობის შესამოწმებლად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს გადაეცა. კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის 93 წევრია. ავტორები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი და აღმასრულებელი მდივანი, ირაკლი კობახიძე არიან. პარლამენტის ბიურომ ასევე იმსჯელა საპარლამენტო ფრაქციების „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ , „ევროპული საქართველო-რეგიონების“ მიერ წარდგენილი „გიორგი გახარიას პოლიტიკური პასუხისმგებლობის, ძალის გადამეტების ჩამდენი სამართალდამცველების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების და 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო პროტესტის დროს უკანონოდ დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლების თობაზე“ პარლამენტის დადგენილების პროექტის დარეგისტრირებისა და შემდგომი განხილვის თაობაზე.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი, სერგი კაპანაძე დაინტერესდა, როდის დაიწყებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დადგენილების პროექტის განხილვას და როდის იქნება შესაძლებელი მისი პლენარულ სხდომაზე განხილვა. ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა განმარტა, რომ კომიტეტს დატვირთული დღის წესრიგი აქვს მაგრამ მზად არის დადგენილების პროექტის განხილვის თარიღზე კონსულტაციები გამართოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით თქვა, რომ „პარლამენტის რიგგარეშე სხდომა აუცილებლად გვექნება ივლისში და საკითხი, რომელსაც თქვენ აყენებთ, შეიძლება, გახდეს პოლიტიკური კონსულტაციების საგანი იმისთვის, რომ განვიხილოთ მისი იმ დღის წესრიგში შეტანის შესაძლებლობა“.

არჩილ თალაკვაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოძიებით, პირველ რიგში, ხელისუფლებაა დაინტერესებული. მისივე თქმით, გამოძიება დაწყებულია და დეტალურად მოხდება თითოეული იმ ფაქტის შეფასება, რაზეც არსებობს საჯარო ინტერესი.

„ოპოზიციის ამ ინიციატივას რომ შევეხოთ, ჩვენ არ ვაპირებთ, რომ დემოკრატიას საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივებს დავუკეტოთ კარები. მათ აქვთ კონკრეტული უფლებამოსილებები მინიჭებული კანონმდებლობით და რეგლამენტით და შესაბამისად, ჩვენ აქ მივყვებით რეგლამენტს და რეგლამენტის თანახმად მოხდება ამ საკითხის განხილვაც“, - განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არჩილ თალაკვაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა რეაგირება იმაზე, რომ მშვიდობიანი მანიფესტაციის მეორე ნაწილში, გარკვეულმა ძალებმა პროცესების ძალადობრივი სცენარით განვითარება სცადეს და საკონსტიტუციო ინსტიტუტზე შეტევა განახორციელეს.

„ასეთ დროს, შინაგან საქმეთა მინისტრი და სამინისტრო ვალდებულია, იმოქმედოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ამ მოვლენებს აქვს ორი შემადგენელი - ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ნაწილი და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილი. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჩვენ ავიღეთ და არ ვაპირებთ, რომ ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ვინმეს გადავაბრალოთ და პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული აქვს „ქართულ ოცნებას“ და მმართველ გუნდს. მეორე ნაწილში, როდესაც საუბარია სამართლებრივ რეაგირებაზე და პასუხისმგებლობაზე, აქაც, როგორც ნახეთ, რეაგირება, სახელმწიფომ, პირველ რიგში, დაიწყო პასუხისმგებლობის თავის ნაწილში. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა თვითონ დააფიქსირა, ვფიქრობ, ძალიან სწორი და დემოკრატიული პოზიციები, როდესაც მან საჯაროდ განაცხადა პასუხისმგებლობაზეც, გამოძიებაზეც და შეფასება გააკეთა იმ ნაწილზე, რომელიც მისი კომპეტენცია იყო“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის თარიღი კონსულტაციების შედეგად, კონსტრუქციულ რეჟიმში უნდა გადაწყდეს.



ჭიათურის მოსახლეობა მალე დაინახავს მასშტაბური მუშაობის შედეგებს

უკანასკნელ წლებში, საქართველოში ჩატარებული კვლევები და პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყანაში უფრო მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მომავალი 10-15 წლის მანძილზე ამბიციური, განვითარებისაკენ მიმართული და ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს, რომელიც განვითარების სტრატეგიის საერთო მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ეს ნიშნავს, რომ რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მიზნებისა და ამოცანების გარკვეულ რაოდენობაზე, რომლებიც გაზომვადი იქნება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად, მათი მოსალოდნელი შედეგი იქნება რეგიონებს შორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსების, პროდუქტიულობის თუ ფინანსური ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ მუნიციპალიტეტებში არსებული უთანაბრობის მაჩვენებლების დაახლოებას, ხოლო მეორეს მხრივ, საკუთრივ ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შემცირებას. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ადგილობრივი ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორედ ამ პრიორიტეტის ფარგლებში, წლებია გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, საყრდენი კედლების და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა. მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, ხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გარდა ამისა, დაგეგმილია

სიახლეები ეკოლოგიური მიმართულებით, რაც დღის წესრიგში დადგა და მკვეთრად გამოიკვეთა განვლილი პერიოდის განმავლობაში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა **გივი მოდებაძემ**, სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება...

- ბატონო გივი, მოგვიყვეთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეებზე...

- მინდა აღვნიშნო, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ვასრულებ და ამ ხნის განმავლობაში, მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სასოფლო და შიდაკვარტალური გზების რეაბილიტაცია. ფეხით მოსიარულეთათვის კიბეების მოწყობა და მოაჯირების შეკეთება. გარდა ამისა, ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო, მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე, საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის, მათი გარკვეული ნაწილი დღეისათვის ავარიულ მდგომარეობაშია და აუცილებელია მათი მოწყობა და რეაბილიტაცია. პარალელურად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებისა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა პატრონობა - ქუჩების და დასახლებების იერსახის და მოქა-

ლაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამასთან ერთად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განათებული ქუჩები, ამისათვის ვაპირებთ გარე განათების ქსელის გაფართოებას და არსებული ქსელის გაუმჯობესებას.

- უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვახსენებთ...

- რაც შეეხება კონკრეტულ მონაცემებს, დღეისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების ნაწილი დასრულებულია, ხოლო დარჩენილი მიმდინარე წელს დასრულდება. სოფლებში შიდა საუბნო გზების მოწყობის მიზნით გამოყოფილია 3 500 000 ლარი, ეს თანხა 118 პროექტის განხორციელებას მოხმარდება. ჭიათურაში, გიორგაძის ქუჩაზე და საჩხერის გზატკეცილზე არსებულ 14 კორპუსზე დასრულებულია ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გოგებაშვილის, ბარათაშვილის, ტაბიძის და ნინოშვილის ქუჩებზე დავამთავრეთ სკვერის მოწყობა, ხოლო ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე 18 სპორტული ტრენაჟორი დამონტაჟდა, რომელთაც სულ მალე კიდევ 2 ერთეული დაემატება. გარდა ამისა, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრის რეაბილიტაციისათვის, რომლის ღირებულება 248 801 ლარს შეადგენს. შეძენილია 11 ერთეული ატრაქციონი და გამოცხადებულია ტენდერი 25-ის საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ჭავჭავაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობის შემსრულებლის გამოსავლენად.

- ამასთან ერთად, ქალაქის მოსახლეობის გადაადგილებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საბაგირო გზა...

- ვინაიდან ჭიათურა მთა-გორიან ადგილს წარმოადგენს, ქალაქისთვის ტრანსპორტის ეს სახეობა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი და ამხანაგობა „დაგი-სკის“ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, დასასრულს მიუახლოვდა რეგიონში ერთ-ერთი მასშტაბური პროექტის - თანამედროვე სტანდარტების საბაგირო გზების მშენებლობა. პარალელურად, ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერიაში გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ბაგირგზების მშენებლობის პროცესისათვის უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს რამოდენიმე ხის მოჭრას და ერთ მოჭრილ ხეზე 4 ძვირადღირებული ხის ჯიშის დარგვას. აღნიშნული კომპანია იღებს ვალდებულებას დააფინანსოს ძვირადღირებული ჯიშების - საკურას, ლეილანდის კვიპაროსის, უნგრული ცაცხვის, მტირალა ტირიფის და მსხილფოთოლა ნეკერჩხალის შეძენა, ტრანსპორტირება და რამდენიმე წლის განმავლობაში მათი მოვლა-პატრონობა.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ მიმდინარეობს...

- ამ პროგრამის ფარგლებში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 58 სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელების მიზნით 1 412 000 ლარი გამოიყო და თანხის ძირითადი ნაწილი სასმელი წლის მიმართულებით დაიხარჯება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იმ სოფლებში, სადაც მაღარო მუშაობს, რაც ჭების და ჭაბურღილების დაშრობას იწვევს. აქედან გამომდინარე, ვქმნით ახალ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხს გააკონტროლებს. ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სარწყავი არხები ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო, რაც შეეხება სასმელ წყალს, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა და 21-ე საუკუნეში ამაზე საუბარი, ვფიქრობ აღარ უნდა გვჭირდებოდეს. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება წყლის მილების და ტუმბოების შესყიდვა, სოფლებში წყლის სათავე ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა. წინ დიდი სამუშაო გვაქვს და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში, მუნიციპალიტეტის ყველა მოსახლე უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით.

- სოციალური კუთხით რა ვითარება გაქვთ...

- ვითვალისწინებთ, მუნიციპალიტეტში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, გაჭირვებული და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მათთვის სოციალური დახმარების გაწევას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა შემწეობას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან, რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს, ხოლო დამხმარე შენობა-ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში 1000 ლარია. აღსანიშნავია, მოსახლეობის დიალეზის პროგრამით დაფინანსება და ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება 120 ლარის ოდენობით.

- მომავალი სასწავლო წლისათვის თუ დაიწყეთ მზადება...

- ამ მიმართულებით არაერთი სიახლე გვაქვს - ქვეპროგრამის ფარგლებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ჩატარდება ხვაშითის, ქვედა ჭალოვანის, ხალიფაურის, წირქვალის, ქვაციხეს, რცხილათის, სკინდორის, ნავარძეთის, კაცხის, ცხრუკვეთის, ბერეთისას, მერევის, გეზრულის, მანდაეთის და ტყემლოვანას საბავშო ბაღების მოწყობის საპროექტო და სარემონტო სამუშაოები. ითხვისში აშენდება საბავშვო ბაღის ახალი შენობა, ხოლო პერევისაში, ადმინისტრაციულ შენობაში ბაღის მოწყობის საპროექტო-სარემონტო სამუშაოები განხორციელდება. ამასთან ერთად, მიმდინარე წელს, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, დასრულდება 19 საჯარო სკოლის მცირე ინფრასტრუქტურული შეკეთება. დამატებით, მეჩხეთურში, რგანში და გუნდაეთში დაგეგმილია საჯარო სკოლის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.

- სპორტულ-კულტურული ცხოვრება როგორ მიმდინარეობს...

- ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. პარალელურად, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალ-

გაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ჩვენი მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სახელოვნებო, სამუსიკო და სპორტულ სკოლებს. 2020 წლისთვის ვაპირებთ აღვადგინოთ ჭიათურის ცენტრალური სტადიონი, რომლის პროექტის დამუშავება წარმატებით მიმდინარეობს. უკვე განხორციელდა ნაგუთის ტერიტორიაზე მდებარე სტადიონის რეაბილიტაცია. სრული დატვირთვით მუშაობს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი საცურაო დარბაზი, სადაც გამოიცვალა გათბობის სისტემები, დრენაჟები და რეაბილიტირებულ იქნა აუზი. ჩამოვაყალიბეთ რამდენიმე ა(ა)იპი - გვყავს საკუთარი გუნდი, მოცეკვავეები, მომღერლები, რომლებიც ბიუჯეტით ფინანსდებიან და ღონისძიებები ეტაპობრივად აქვთ გრაფიკში გაწერილი. წარმატებით ფუნქციონირებს აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სადაც ღონისძიებები კულტურის სამინისტროსთან ერთად თანადაფინანსებით ტარდება. ვაპირებთ მოვაწესრიგოთ ტურისტული ინფრასტრუქტურა - ყურადღებას მივაქცევთ ძუძუანას მღვიმეს, სადაც აღმოჩენილი იქნა 30 ათასის წინანდელი შეღებილი სელის ძაფი, რაც რევოლუციური მოვლენაა და ეროვნულ მუზეუმშია დაცული. გარდა ამისა, გვინდა რომელიმე დახურულ მაღაროს სამუზეუმო სახე მივცეთ, სადაც ტურისტებს ე.წ. „ზიპლაინის“ გაკეთება და პატარა დეტალის მონგრევის საშუალება ექნებათ.

- დასასრულ, მინდა ჭიათურის მთავარ პრობლემას, ეკოლოგიას შევეხოთ...

- ქალაქის დასუფთავების კამპანია, რომელიც ჩვენი ჩართულობით ხორციელდება, რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას მოიცავს. დავიწყეთ სადრენაჟე სისტემის მოწესრიგება, გზის სავალ ნაწილზე დაგროვილი ნარჩენების-მტვრის სპეცტექნიკით მორეცხვა და საკვანძო ადგილებზე მაღალი წნევით რეცხვის აპარატების დამონტაჟება. ამისათვის, „ჯორჯიან მანგანეზმა“ ჭიათურის მასშტაბური დასუფთავების კამპანიის ფარგლებში 4 სპეცმანქანა - მექანიკური დაგვის ორი და ორი გადამრეცხი მანქანა შეიძინა. ახალი სპეცტექნიკა ყოველდღიურად, 24-საათიან რეჟიმში ქალაქის იმ ქუჩებს დაასუფთავებს, სადაც მანგანუმით დატვირთული ავტომანქანები გადაადგილდებიან. ასევე, გამოიყოფა სპეციალური, 20 კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ გზას დაასუფთავებს. მოქმედებენ ბორდიურები, სადაც გადამრეცხი მანქანები იმოძრავებენ. გარდა ამისა, ქალაქში დიდ პრობლემას წარმოადგენდა მიმდებარე ტერიტორიებზე მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობა, ამიტომ, „ჯორჯიან მანგანეზთან“ ერთად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას პლატსდარმი, სადაც მადნის დასაწყობება და ამ დასაწყობებული ადგილიდან რკინიგზით მისი გადაზიდვა მოხდება. სექტემბრიდან კი ჭიათურაში მძიმეწონიანი მანქანები საერთოდ აღარ იმოძრავებენ. პარალელურად, ყველა საკვანძო ტერიტორიაზე, სადაც მანგანეზის კარიერულად მოპოვება და ავტომობილებით გადაზიდვა ხდება, დამონტაჟდება მაღალი წნევით გადარეცხვის აპარატები, რათა ქალაქში სუფთა ავტომობილებმა შეძლონ გადაადგილება. სასიხარულოა, რომ „ჯორჯიან მანგანეზმა“ გამოთქვა მზაობა, დააფინანსოს ეს პროექტი, რომელსაც ჩვენი მუნიციპალიტეტი გაუწევს ადმინისტრირებას, რათა ფინანსების გადანაწილება სწორად და გამჭვირვალედ მოხდეს. აქედან გამომდინარე, იმედს გამოთქვამ, რომ ჭიათურის მოსახლეობა მალე იგრძნობს იმ მასშტაბური სამუშაოების შედეგებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტი კომპანიის სრული ხელშეწყობით ახორციელებს.

მშენებელი XXI

E-mail:
chiatura22@gmail.com





მისამართი:
საქართველო
ქიათურა,
აღმაშენებლის 23
ტელ.: 599-502479

დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ

როგორც ცნობილია, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, ქვეყნის მიერ გაკეთებული ევროპული არჩევანი და განვითარების საერთო მიზანი. ამის მისაღწევად, საჭირო გახდა კოორდინირებული საქმიანობა და ინვესტიციები, რომლებიც, ამჟამადაც უზრუნველყოფენ ძირითად საზოგადოებრივ დოვლათსა და მომსახურეობას. შესაბამისად, ბოლო წლებში, სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა კიდევ უფრო ფოკუსირებული გახდა კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, რათა მომავალში, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს და მისი რეგიონების განვითარების დონის დაახლოება ევროკავშირთან და სხვა, წარმატებული ეკონომიკის მქონე, სუბიექტებთან. ადვილი მისახვედრია, რომ ამისათვის, აუცილებელია, თითოეული რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და განვითარება, რათა მათაც საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნული წარმატების მიღწევასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. სწორედ ამგვარი სტრატეგიული მიდგომა მოახდენს გავლენას შიდა უთანაბრობების შემცირებასა და აღმოფხვრაზე. უკვე განვითარებულ რეგიონებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სარგებელი ევროპული ინტეგრაციისა და ბაზრების გახსნის შედეგად. სწორედ ეს გახდება იმ ქმედებების გრძელვადიანი შედეგი, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში საჭირო ინფრასტრუქტურის მიწოდებას, ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვადასხვა ინსტიტუციების განმტკიცებას. აქედან გამომდინარე, მიზნებთან ერთად, გამოიკვეთება მოსალოდნელი სიახლეები - რომლებიც გულისხმობს კონკურენტუნარიანობის ზრდას და ინფრასტრუქტურული თუ ადამიანური რესურსების განვითარებას. გაცილებით ადვილი გახდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების სრულყოფა. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება. სწორედ ზემოაღნიშნული მიმართულებებია დღეს მნიშვნელოვანი და დომინანტური სამტრედიაში, რომლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ვალერი ფოცხვერიას** საქმეები არასდროს ელევა...

- ბატონო ვალერი, სამტრედიის მინიციპალიტეტში ჩამოსულებს, უამრავი სიახლე დაგვხვდა...

- მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა მიმართულებით, აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. იგება ასფალტო-ბეტონის გზები, ნაწილობრივი რეაბილიტაცია უტარდება ბაგა-ბაღებს და აქტიურად მუშაობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც მოსახლეობამ თავად გადაწყვიტა, თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელებინა თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულში. რაც მუნიციპალიტეტში 30 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა, - დღეს კეთდება. მართალია, ყველაფერი ერთად ვერ მოესწრება, თუმცა, სამწლიანი პროგრამის ფარგლებში, არც ერთ ქუჩაზე გზა დაუგებელი არ დარჩება და მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ბაგა-ბაღი თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. ვაპირებთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის



ყველაზე სერიოზული პრობლემის - სასმელი წყლის საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, რაც უდიდეს თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა ამ კუთხით აქტიურად ვმუშაობთ და დარწმუნებული ვარ, აღნიშნული პრობლემა უეჭველად მოგვარდება.

- უფრო კონკრეტულად, რა მიმართულებით მიდის სამუშაოები?

- ამჟამად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების ასფალტო-ბეტონის დაგებისთვის 4 998 000 ლარი იხარჯება. სამუშაოები, ძირითადად, რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ე.წ. ელიავას მინდვრიდან სამხრეთის მიმართულებით ერთი კილომეტრი ბეტონის გზა იგება. იქვე და ე.წ. ნაჩხატაურის უბანში ეწყობა ახალი მოსაცდელები. სამტრედიაში, სანაპიროს ქუჩაზე ასევე 1 კმ-ზე მეტი ასფალტო ბეტონის გზა დაიგო, ხოლო წერეთლის ქუჩაზე და-

ზიანებული ადგილების ორმული სამუშაოები განხორციელდა. რაც შეეხება დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრიდან ქალაქის მიმართულებით რეაბილიტირებულ ასფალტო-ბეტონის გზას, მისი სიგრძე 4 კმ. 400 მ. შეადგენს. დიდი ხნის მანძილზე პრობლემური გახლდათ იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-9 უბანში მდებარე 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი, რომელიც უკვე რეაბილიტირებულია და მოსახლეობას გადაადგილებას უადვილებს. გარდა ამისა, დასასრულს უახლოვდება ბორნის მშენებლობა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჩოგბურთის კორტის მოწყობა ლაშა თევზაძის ქუჩაზე.

- ზემოთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ახსენეთ...

- მომავალი სასწავლო წლისათვის უკვე დავიწყეთ მზადება. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით 24-ვე ბაგა-ბაღში, 354 000 ლარის სამუშაოები მიმდინარეობს. ბაგა-ბაღები საჭიროებისამებრ გადაიხურება და შემოირაგვება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ფასადებს და ჯგუფებს, მოწესრიგდება სველი-წერტილები, სამზარეულოები და გაყვანილობა. პარალელურად, ყურადღების გარეშე არ დაგვრჩება სკოლები - ამ ეტაპზე, მაგალითად, სამტრედიის მუნიციპალტეტში 31-ვე საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 860 000 ლარი იხარჯება. აღნიშნული სამუშაოები ძირითადად გადახურვას, სველი-წერტილების და კარ-ფანჯრების მოწესრიგებას მოიცავს. ვფიქრობ, ამ საქმით, ჩვენ მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში და ხელს შევუწყობთ ქვეყნისა და ხალხისადმი სიყვარულის ჩანერგვას, პატიოსნებისა და საზოგადოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

- ამ მიმართულებით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, სოციალური პროგრამების საკითხს...

- გეთანხმებით, სოციალური საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტუალურია და მოსახლეობის საკეთილდღეოდ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. სამტრედიაში ვცდილობთ, ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ და გავამრავალფეროვნოთ მუნიციპალური სოციალური პროგრამები. წელს ამ კუთხით 920 600 ლარი დაიხარჯება, რომელიც ახალშობილთა, მრავალშვილიანი ოჯახების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარებას მოხმარდება. ბენეფიციართა სიაში არიან ასი წლის და მეტი ასაკის უხუცესები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი, 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახები და ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები. ვეხმარებით სტუდენტებს, მარტოხელა მშობლებს და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპსს ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული და ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება. რაც შეეხება მოქალაქეებს, რომლებიც მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შრომისუუნარონი არიან, მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ მიეცემათ ყოველთვიური ფინანსური დახმარება - 30 ლარის ოდენობით.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- 2019 წელს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები გვაქვს დაგეგმილი საგზაო, სპორტული და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით. ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება იგეგმება ეწრის ცენტრიდან ჯიქთუბნის მიმართულებით, ნინუაკუთხეში, გომში და დაბლა გომში, დაბა კულაშში, საჯავახოსა და მელაურის თემის სოფელ მიწაბოგირაში. რაც შეეხება ქალაქ სამტრედიას, რეკონსტრუქცია ჩაუტარდებათ კარლო კალაძის, კაპანაძის, მაიაკოვსკის, 9 აპრილის, ხორავას, თავაძის, იმერეთის, შანიძის, ფარნავაზის, ბოლქვაძის, ქეთევან წამებულის, არაგვისპირელის, მანჯგალაძის, ერეკლე მეფის, ჯაშის, სარაჯიშვილის, ცხენისწყლის, 300 არაგველის, აღმაშენებელის, დიდგორის და ვახუშტის ქუჩებსა და ჩიხებს. ამავე წელს ჩატარდება სამტრედიის #1,2,3,5,6,7,9,11, ეწერის, ზედა გომის, კულაშის, საჯავახოს, ტოლების, ჯიხაიში #1 და ჯიხაიშის #2 საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. მაღალმთიან სოფლებში დავიწყებთ წყალმომარაგების სისტემის აღდგენა-აშენების პროგრამას. პარალელურად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების შესაბამისად, მოეწყობა სკვერები და სავარჯიშო ინფრასტრუქტურა, გარე განათება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, დაგეგმილია ბიბლიოთეკების და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზის მოხრეშვა და სასაფლაოების შემოღობვა. სტადიონების, სატრენაჟორო მოწყობილობების და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ეს გრანდიოზული გეგმები მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ძალისხმევას ნამდვილად არ ვიშურებთ ქვეყნის განვითარებისთვის, და მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ჩვენს მოსახლეობასთან ერთად, დასახულ მიზნებს აუცილებლად მივაღწევთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტები

ევროკავშირის საექსპერტო და ფინანსური მხარდაჭერით ჩვენ შევქმენით რეგიონული განვითარების პროგრამა, სადაც ასახულია რეგიონების საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები. დიალოგის შედეგად შერჩეულია რეგიონები, სადაც შემუშავდება ინტეგრირებული განვითარების პროგრამები, რომელიც მოიცავს, როგორც ინფრასტრუქტურულ სფეროს, ისე - ეკონომიკურ საჭიროებებს, სოფლის მეურნეობას, განათლებას და ყველა სხვა განზომილებას, რაც რეგიონულ განვითარებაში არსებული უთანაბრობის აღმოფხვრაში დაგვეხმარება“ - განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ქალბატონმა მაია ცქიტიშვილმა. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურა, საქართველოს მთავრობის პარალელურად, სოლიდურ ინვესტიციას დებს მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ერთმნიშვნელოვნად ფასდაუდებელი დახმარებაა. საპასუხოდ, საქართველოს მთავრობა ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროსაბჭოსთან დეცენტრალიზაციის განვითარების კუთხით, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და სანდო პარტნიორად ჩამოყალიბდა. სწორედ ეს პროცესები განიხილება თვითმმართველობის განვითარების გზაზე უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად. ამიტომ, აქტიურად მიმდინარეობს საშუალო ვადიან სტრატეგიაზე მუშაობა და მისი შექმნის მიზანი ეფექტური, ძლიერი და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება გახლავთ. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ნდობის პროცესის ამაღლება, თვითმმართველობა უნდა გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე, სანდო და დაფუძნებულ იყოს დემოკრატიის პრინციპებზე. ასეთ ვითარებაში კონკრეტულად იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების როლი, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ზემოხსენებულ საქმიანობას, თერჯოლაში, მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ბონდო სოფრომაძე** წარმართავს და სწორედ მისი მეთვალყურეობით მიმდინარეობს ის პროცესები, რომლებიც, დადებითად უნდა აისახოს რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზე...

— ბატონო ბონდო, რა სიახლეები განახორციელეთ რაიონში გასული წლის განმავლობაში?

— 2018 წლიდან მოყოლებული, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ასევე სხვადასხვა ფონდებისა და სამინისტროების ინვესტირებით ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და ამჟამადაც წარმატებით მიმდინარეობს. დასრულდა გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოქწყო ასფალტო-ბეტონისა და რკინა-ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა, აღნიშნულ სოფლებში, ათეული წელია, გზა

არ იყო და მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა ჰქონდა. ახლა ამ მონაკვეთით 3000-ზე მეტი ადგილობრივი ისარგებლებს. სამი დიდი სოფლის დამაკავშირებელი 7,5 კმ. გზის გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 1 172 000 ლარია. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდა ასევე, ეწერში, სარბეგში და ახალთერჯოლაში, სადაც პროექტი გარდამავალია და დარჩენილი 1700 მ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია სულ მალე დასრულდება. არმირებული ბეტონის საფარიანი გზა დავაგეთ რუფოთში, - ჭანკვეტაძეების უბანში და ჭოგნარი-ოდილაურის მონაკვეთზე. რაც შეეხება ბარდუბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაციას, პროექტის ფარგლებში აქ მოქწყო 1200 გრძ/მ-მდე მონაკვეთი. გარდა ამისა, დასრულებულია ქალაქ თერჯოლაში, რობაქიძის ქუჩაზე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარითა და სანიაღვრე არხებით. სადაც გზის 700 მ-იანი მონაკვეთი გარემონტდა. ზოგადად, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს.

- თერჯოლაში, წლების განმავლობაში პრობლემური იყო, სასმელი წყლის მიწოდების საკითხი...

- მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ქალაქ თერჯოლაში, ჯაბიძის ქუჩაზე დასრულდა სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, რომლის მეშვეობით სასმელ წყალს 156 კომლი მიიღებს. ზედა სიმონეთში განხორციელდა წყლის ცენტრალური მაგისტრალის რე-



აბილიტაცია და მომზადდა დაქსელვისა და გამრიცხველიანების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სიქთარვაში, კვახჭირსა და ოდილაურში წყლის მაგისტრალის მოწყობისა და გამრიცხველიანების სამუშაოების შედეგად წყალს უკვე 1120 კომლზე მეტი ღებულობს. პარალელურად, იგივე საქმიანობა დაწყებულია ბარდუბანსა და ღვანკითში, სადაც სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტები გარდამავალია და 2019-20 წლებში დასრულდება. გარდა ამისა, მინდა დავამატო ისეთი მნიშვნელოვანი მამართულება, როგორიც ხიდების აღდგენა-მშენებლობა გახლავთ. ჩვენი თაოსნობით დასრულდა ზედა საზანოში, მდინარე ძუსაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ერთმალიანი რკინა-ბეტონის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია. ბარდუბანში, მდინარე როკიანაზე, დასრულდა სათემო უბანთან დამაკავშირებელი, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის მშენებლობა. გოგნში განხორციელდა დაზიანებული საყრდენი კედლისა და ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ქალაქ თურჯოლაში - 9 აპრილის ქუჩასთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის გამაგრება, რომლის ფარგლებში რკინა-ბეტონის ახალი ბურჯი მოეწყო.

- გოგნში სკოლამდელი აღზრდის ახალ დაწესებულებას აშენებთ...

- ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვა და შემდგომ, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია გახლავთ. სწორედ ამიტომ, ახლახან, თავად ვიმყოფებოდი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნში, სადაც საბავშვო ბაღის მშენებლობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს. ადგილზე დავათვალიერე მიმდინარე პროცესები და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს პროექტის დეტალებზე და ბაღის ეზოს კეთილმოწყობის საკითხებზე ვესაუბრე. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მოგვარდა პრობლემა, რაც გოგნის მოსახლეობას წლების მანძილზე აწუხებდა. ამ სოფელში მცხოვრები პატარები ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში შეხვდებიან. თანამედროვე სტანდარტების, 30 ბავშვზე გათვლილი ბაღის მშენებლობაზე, რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, 244 084 ლარი დაიხარჯება. აქვე მინდა გითხრათ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის შესახებ - თურჯოლაში სრული დატვირთვით მიმდინარეობს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა, რაც ახალ, საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს და მნიშვნელოვნად გაზრდის მოქალაქეთა მომსახურეობის ხარისხს.

- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...

- როგორც მოგახსენეთ, 2019 წელს, რამდენიმე შარშან დაწყებული პროექტის დასრულებას ვაპირებთ. მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, განათლება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გაძლიერება იქნება. უყურადღებოდ არ დაგვრჩება, არც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ თითოეული ამ პროექტის განხორციელებაში დიდი მხარდაჭერა გვაქვს მთლიანად სახელმწიფოს მხრიდან, რაც უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს ადგილობრივ ხელმძღვანელობას და გვაიმედებს, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი და განვითარებული გახდება.





ვცდილობთ წინსვლა ყველა მიმართულებით გვქონდეს

როგორც ბოლო წლების პრაქტიკა ცხადყოფს, საქართველოს, ერთის მხრივ, აქვს მრავალი გამოწვევა და საჭიროება შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გააჩნია ის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომელიც შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ეკონომიკური განვითარების გაღრმავებისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ამ საჭიროებებსა და პოტენციალს აქვს მკაფიო კუთვნილება - მეწარმეების, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ინოვაციური ფირმების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა და არსებული კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების ჩართულობის გაუმჯობესება ბიზნესის სფეროში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში, ექსპორტის მოცულობისა და სტრუქტურის გაზრდა, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და პროდუქტების მრეწველობის პოტენციალის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს საკმაოდ ფართოდ განსაზღვრავს მინიციპალიტეტების ხელმძღვანელები დადგენილი წესით წარმართავენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს და უფრო მოქნილად ხდება სივრცითი და ტერიტორიული მოწყობის უზრუნველყოფა. ეს გარემოება ტყიბულის მინიციპალიტეტშიც ნაყოფიერ ნაადაგს ქმნის, რათა ეფექტურად განვითარდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურა - პარკები, სკვერები, გზები, და განათების სისტემები, ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას, ხელი შეეწყოს დასაქმებას, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს, დროულად მოხდეს სოციალური დახმარების გაწევა, გარემოს დაცვა და ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ზემოხსენებულ საკითხებს ხელმძღვანელობს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **თემურ ჩუბინიძე,** რომელსაც რაიონში მიმდინარე სიახლეებზე გავესაუბრეთ...

- ბატონო თემურ, თავდაპირველად გასული წლის შედეგებზე გვითხარით...

- გასულ, 2018 წელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტისთვის სულ 5 მილიონი ლარი გამოიყო, რაც მიზნობრივად იქნა ათვისებული. აქედან 1 900 000 ლარის ფარგლებში, 19 მიმართულებით განვახორციელეთ შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. მათ შორის, დავასრულეთ თაბუკაშვილის ქუჩის კილომეტრიანი მონაკვეთის თანამედროვე სტანდარტებით რეაბილიტაციის პროცესი, რომლისთვისაც მილიონ 100 000 ლარი დაიხარჯა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზაზე დაიგო ბეტონის საფარი, მოეწყო მიწისქვეშა კომუნიკაციები, გამოიცვალა წყლის მილები, გაკეთდა გადასასვლელები, სანიაღვრე არხები, განახლდა გარე-განათების ქსელი და განთავსდა თანამედროვე ტიპის მგზავრთა მოსაცდელები. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების 15 შიდა ეზოს კეთილმოწყობისთვის სულ 931 700 ლარი დაიხარჯა, ხოლო 300 000 ლარის ფარგლებში, 14 მიმართულებით განხორციელდა ქალაქის შიდა გზების კეთილმოწყობის სამუშაოები. რაც შეეხება ცენტრალური ხელისუფლების მიერ სტიქიის მუხლიდან გამოყოფილ 1 400 000 ლარს, ის საცხოვრებელი სახლების სახურავების, საყრდენი კედლების, ხიდების, ბოგირების, სანიაღვრე არხებისა და გზების რეაბილიტაციას მოხმარდა. ქალაქში მოვახდინეთ გარე-განათების ქსელის რეაბილიტაცია. ძველი ლამპიონები, ახალი ენერგოეფექტური დიოდური სანათებით ჩავანაცვლეთ, რომლის მთავარი უპირატესობა ვიზუალურ მხარესთან ერთად მისი ენერგოეფექტურობაა, რაც ტყიბულის გარე-განათებაში დახარჯულ ელექტროენერგიასა და ექსპლუატაციის ხარჯებს საკმაოდ შეამცირებს.

- მნიშვნელოვანი დაპირებები გქონდათ გაზიფიცირების მიმართულებით...

- ამ მხრივ, მართლაც სერიოზული სამუშაოები ჩავატარეთ. უკვე დასრულებულია ქალაქის გაზიფიცირება და ეტაპობრივად მიმდინარეობს სოფლების ბუნებრივი აირით მომარაგების პროცესი. სამწლიანი გეგმის მიხედვით, 2019-2021 წწ. განხორციელდება ორპირის, ცუცხვათის და ხრესილის გაზიფიცირება, წელს ქსელში ჩაერთვება გელათისა და მოწამეთის დარჩენილი უბნები. პარალელურად ხორციელდება ტყიბულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ, ტყიბული 24 საათიანი სუფთა სასმელი წყლით იქნება უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, მთელ რიგ უბნებში მოვაწესრიგეთ სანიაღვრე სისტემები, შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ მოსახლეობისთვის კომუნალური მომსახურეობის გაუმჯობესება. წყლის და ბუნებრივი აირით მომარაგებასთან ერთად, აქცენტები გვაქვს აღებული სათამაშო სკვერების, სტადიონების და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოების თაობაზეც. ამის მაგალითია საწირეში გახსნილი საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ადგილობრივებს სხვადასხვა სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ. წელს იუსტიციის სახლის მშენებლობა უკვე ტყიბულში მიმდინარეობს.

- ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, აუცილებელია მომავალ თაობაზე ზრუნვა...

- ამ მიმართულებით, გასულ წელს ტყიბულს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეემატა. #6 საბავშვო ბაღი ორ სასწავლო ჯგუფზეა გათვლილი და ყველა საჭირო პირობითა და ინვენტარით გახლავთ აღჭურვილი. გარდა ამისა, ბაღების მოწყობის პროცესი დასრულდა გურნაში, ჯვარისასა და სოჩხეთში. ამ სოფლებში საბავშვო ბაღები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, პირველად დაიწყებს ფუნქციონირებას და ვფიქრობ, რომ ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიგრაციის პროცესის შეჩერებას. ამასთან ერთად, მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში, წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება თანამედროვე სტანდარტების მქონე მე-4 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც ორ სასწავლო ჯგუფზეა გათვლილი. ცოტა ხნის წინ მერიამ, ასევე შეისყიდა გელათისა და ტყიბულის #2 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლისთვისაც მოძიებული იქნა შესაბამისი თანხები. მიმდინარე წელს მათი სრული რეაბილიტაცია დაიწყება და მომავალში პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება.

- სოციალური საკითხები როგორაა მოგვარებული მუნიციპალიტეტში...

- მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილზე ზრუნვა, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები გავწერეთ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების, დევნილების, ომის ვეტერანების, სამსახურეობრივი მოვალეობისა და სხვადასხვა კატასტროფების დროს დაზარალებული ადამიანებისა და მათ ოჯახების დასახმარებლად. გასულ, 2018 წელს, ასეთ 6 ოჯახს, საცხოვრებელი სახლები შევუძინეთ. პარალელურად, აქტიურ მუშაობას ვეწევით პენსიონერების, განსაკუთრებულ დაავადებათა მქონე და შშმ პირთა დასახმარებლად. მუნიციპალიტეტში დავიწყეთ ხანდაზმულთა შინმოვლის პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს, მარტოხელა და მარტო მცხოვრები ადამიანებისათვის, თბილ, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას. ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“ ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, 30 ბენეფიციარი თვეში ოთხჯერ იღებს საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, საკონსულტაციო, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურების კომპლექსს.

- მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს რაც შეეხება...

- პროექტების სიმცირეს არც წელს ვუჩივით და საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით ვახორციელებთ - მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გელათის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია. განსაზღვრულია ისტორიული, ე.წ „დავითის გზის“ კეთილმოწყობა, 682 გრძივ მეტრზე საფეხმავლო ბილიკის ქვის ფილებით მოპირკეთება, ხოლო 1000 მეტრზე ბეტონის საფარიანი არმირებული საავტომობილო გზის დაგება. აღნიშნულ მონაკვეთზე, გზის რეაბილიტაციის პარალელურად, დაგეგმილია გარე-განათების მოწყობა, ფანჩატურებისა და ძელ-სკამების განთავსება. გარდა ამისა, ტყიბულში რეაბილიტირდა ხუთი ლიფტი, რისთვისაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 99 900 ლარი გამოიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პროცესი წლებია გრძელდება და ქალაქში არსებული 33 ლიფტიდან 19-ის განახლება უკვე დასრულებულია, დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია კი მომავალ წლებში ეტაპობრივად განხორციელდება. ასევე მიმდინარეობს სოფლის შიდა გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. სამუშაოებისათვის გამოიყო 2 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში ჯამში 6,620 კმ გზა მოეწყობა. ასევე, 13 საჯარო სკოლაში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება, რომელიც ძირითადად სახურავებისა და სველი წერტილების მოწესრიგებას შეეხება. დაგეგმილია სოფლებში არსებული სამედიცინო ამბულატორიების სარემონტო სამუშაოები, რომელთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესყიდულია და სრული ღირებულება 90 725 ლარს შეადგენს. რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილ 532 000 ლარს, ის სოფლის კრებებზე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, საჯარო განხილვის საფუძველზე 46 სოფელზე გადანაწილდება. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით ჩვენ ვერ შევძლებდით ყველა ზემოხსენებული პროექტების განხორციელებას. ძალიან მნიშვნელოვანია და დასაფასებელია საქართველოს ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების თანადგომა, საერთო ძალისხმევით, მოკლე ხანში ნამდვილად შევუმსუბუქებთ მდგომარეობას ჩვენ მოსახლეობას და მათ ნდობას გავამართლებთ.

ზესტაფონს განსაკუთრებული მისია ექნება



საერთაშორისო ექსპერტების ანალიზის თანახმად, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ეკონომიკური მდგომარეობის და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კომპლექსურ და ამბიციურ რეგიონულ პოლიტიკას მოითხოვს, რომელიც მდგრადი კონკურენტუნარიანობის ფაქტორების გაძლიერებისაკენ არის მიმართული და ხელს უწყობს ქვეყნის დაბალანსებულ სოციალურ და ტერიტორიულ განვითარებას. იმერეთის, საქართველოს რეგიონებს შორის, ეკონომიკის შედარებით უკეთესი სტრუქტურა, პროდუქტიულობა, მომსახურეობაზე და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, ადამიანური რესურსების უფრო მაღალი დონე და მმართველობის ხარისხი გააჩნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი პოტენციალი კი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. სწორედ ამიტომ, ქვეყნის რეგიონული პოლიტიკა არსებული დარგობრივი მიმართულებების ადაპტირებას უნდა ახდენდეს კონკრეტული ტერიტორიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დამატებითი რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტებს ჰქმნიდეს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ცალკეული მუნიციპალიტეტების ეკონომიკური პოტენციალის სწორი იდენტიფიცირება და მისი სრულად, ეფექტიანად გამოყენება. უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, წარმოების ან სხვა სექტორების კონკრეტული პოტენციალის გამოვლენა, რათა ხელი შეეწყოს მათ დინამიურ განვითარებას. დღეისათვის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობაში მაღალი დასაქმება და შემოსავლიანი სამუშაოების არარსებობა სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, შეინიშნება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება სწორედ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. თვალსაჩინოა ეფექტიანი მომსახურების მიწოდება და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მაკოორდინირებელი ფუნქციის მუდმივი გაძლიერება. უმჯობესდება კონკურენტუნარიანობის, ვაჭრობის, ინოვაციების, შრომითი ბაზრის, ინფრასტრუქტურული წინსვლის და სხვა მონაცემების სტატისტიკა. ამ მიმართულებებში, საკუთარი, მოკრძალებული წვლილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **გიორგი გოგლიჩიძეს** მიუძღვის, რომელსაც, რაიონში მიმდინარე ღონისძიებებზე გავესაუბრეთ....

- ბატონო გიორგი, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

- ბოლო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენის თვალსაზრისით, რამდენიმე მასშტაბური პროექტი განვახორციელეთ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და ვფიქრობ, 2021 წლისთვის, არცერთი სოფლის ცენტრალური უბნის გზა არ დარჩება კეთილმოწყობის გარეშე. ამ ეტაპზე, გზის რეაბილიტაცია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ქალაქის 14 ქუჩასა და 5 სოფელში მიმდინარეობს. სოფელ კვალითში, რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და პროექტის ფარგლებში გზის ზედაპირზე ბეტონის საფარი იგება. საავტომობილო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ასევე ზესტაფონში, წმინდა ბარბარეს და ჩანტლაძის ქუჩებზე. რეაბილიტაციის ფარგლებში, გზის ზედაპირი ბეტონის საფარით მოეწყობა. მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა და საყრდენი კედელი. ასევე, 2019 წელს გზების რეაბილიტაცია სოფელ წიფლავაკეში, ტაბაკინში, ტყლაპოვაკეში, ცხრაწყაროში, შროშაში, ილემში, წევაში, ბოსლევში, დილიკაურში და ცხრაწყაროში განხორციელდება. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ ვითარდება...

- სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების მოკვლევა მოსახლეობასთან კოორდინირებული მუშაობით და მათთან კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობს. ადგილებზე ტარდება კრებები, სადაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აქცენტები კონკრეტულ პროექტებზე კეთდება. 2019 წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წყალსადენი და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია, საუბნო გზების აღდგენა, გმირთა მემორიალების კეთილმოწყობა და სხვა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება.

- 2019 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 15 საჯარო სკოლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი...

- საგანმანათლებლო მიმართულებას მართლაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. წელს, განახლებული ინფრასტრუქტურა ექნება პირველი სვირის სკოლას. რეაბილიტაციის ფარგლებში მოწესრიგდება სასწავლო დაწესებულების ფასადი, იატაკი, ჭერი. შეიცვლება საკლასო ოთახების ფანჯრები. სკოლის სარემონტო სამუშაოებს სახელმწიფო აფინანსებს და მის რეაბილიტაციაზე 197 773 ლარი დაიხარჯება. გარდა ამისა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებში - არგვეთსა და ზედა საქარაში ახალ საჯარო სკოლებს აშენებს. ზედა საქარას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ევროსტანდარტების მქონე,

ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების გამოყენებით აგებული, 300 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე ტიპის სამსართულიანი სკოლის შენობა, ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე. მოქნყობა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, იფუნქციონირებს ლიფტი, კომბინირებული სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. ეზოში გაკეთდება საბავშვო მოედანი. ამის პარალელურად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - კლდეეთის #20, ქალაქის #4 და დილიკაურის საბავშვო ბაღების კეთილმოწყობას რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს და შედეგად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულიად განახლდება არსებული ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში, მუნიციპალიტეტში კიდევ 13 ბაღის რეაბილიტაცია დაიწყება, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 645 ათასი ლარი დაიხარჯება.

- სოციალური კუთხით რა სიახლეებია...

- თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შემდეგ, ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების რაოდენობამ 120 ათასით მოიმატა და მთლიანობაში მილიონ ასი ათას ლარს გადააჭარბა. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, სხვადასხვა სახის სოციალურ პროექტებს შორის, უსახლკარო ადამიანებისთვის, საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას ახორციელებს. 2019 წელს, ამ მიმართულებით, სოციალურად დაუცველი ადამიანების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 151 900 ლარი გამოიყო, თუმცა აღნიშნული თანხა, ზესტაფონის მერიამ 30 000 ლარით გაზარდა. სოციალური პროექტით, მიმდინარე წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 70 - ზე მეტმა ადამიანმა უკვე ისარგებლა. 8 ოჯახს, თანადაფინანსების პრინციპით, საცხოვრებელი სახლი შეეუძინეთ, ხოლო დაახლოებით 70 ოჯახს, სამშენებლო მასალებისთვის საჭირო თანხა გამოეყო. ეს პროექტი, რომელიც უსახლკარო ადამიანების საცხოვრისით უზრუნველყოფას ითვალისწინებს წარმატებით ხორციელდება და ბენეფიციარებისთვის, როგორც სახლების შეძენას, ასევე სამშენებლო მასალებისთვის თანხების გამოყოფას ითვალისწინებს.

- კულტურასა და სპორტზე რას გვეტყვით...

- ამ მიმართულებით, რამოდენიმე კარგ პროექტს ვამზადებთ, რომელიც დამუშავების პროცესშია და მათ მომავალი წლიდან გავახმოვანებთ. მოხდება სოლიდური თანხის გამოყოფა სახელოვანი და წარჩინებული სპორტსმენების დასაფასებლად. მინდა აღვნიშნო, რომ ახლახან, ჩვენმა თანაქალაქელმა, მინდია ლილუაშვილმა მინსკის მეორე ევროპულ თამაშებზე, ჭიდაობა სამბოში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მინდიას პირადად შევხვდი და მუნიციპალიტეტისთვის პირველი ოლიმპიური მედალი მივულოცე. გარწმუნებთ, რომ ამიერიდან ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმალურად იქნება ჩართული, რომ ყველა წარმატებულ სპორტსმენებს სათანადო პირობები ჰქონდეს, ამიტომ, მომავალი წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით გარკვეული სიახლეები დაიგეგმება. რაც შეეხება კულტურის ამბებს, ამ მხრივაც ბევრი საინტერესო ღონისძიებაა მოსალოდნელი. ამ ეტაპზე, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და მზადდება გრანდიოზული პროექტი შორაპანის ტურისტული განვითარების კუთხით, სადაც, ზესტაფონს, საკუთარი, განსაკუთრებული მისია ექნება.

- ბატონო გიორგი, კიდევ რა გეგმები გაქვთ...

- მომავალი წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, განათლება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გაძლიერება იქნება. ყურადღებას მოვაქცევთ წყალმომარაგებას და მაღალმთიანი სოფლების გაზიფიცირებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა ჩვენს მიერ შეთავაზებული წინადადება - სოფლის საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაციის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უახლოეს პერიოდში, სოფელ ძირულის, ცხრაწყაროს, კლდეეთის, დაბა შორაპნის, ზოვრეთის, ტაბაკინის და პირველი სვირის საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაცია იგეგმება. ვაღიარებ, რომ გამოწვევა ნამდვილად დიდია. სწორედ ამიტომ, ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოსახლეობასთან კომუნიკაცია და არასდროს გავურბივარ პასუხისმგებლობას. მინდა, რომ განსაკუთრებული წვლილი შევიტანო ჩემი მუნიციპალიტეტის განვითარებაში და ამაზე, სამომავლოდ, ჩვენმა ერთად გაკეთებულმა საქმეებმა ილაპარაკონ.

ნიუ ბილდინგი



ქიათურა,
საჩხერის გზატკეცილი #3
ტელ.: 558531479
E-mail: newbuilding78@gmail.com

ქიათურა,
აბაშიძის 18
ტელ.: 598251214

გოლდ ენდ ბრო

E-mail: gagabregvadze@yahoo.com

Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული~ მილების წარმოება დაიწყო.

შ.პ.ს „პოლიმერი~ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1~ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ–20 მმ დან – დ–630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-1400მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge

MTM

Director
Mevlud Getsadze

Leselidze st. L2. N2
Terjola, Georgia

Agmaschenebeli AVE N81.
Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302;
+995 (0) 431 25 13 25

Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

შპს ხიდმშენი-99

მისამართი:
საქართველო, ქ.მცხეთა.
დავით აღმაშენებლის ქ. №22

ᲧᲚᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲚᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲨᲔ

ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲝᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ